

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე: “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ დებულებათა სრულყოფის აუცილებლობით, რომლებიც აწესრიგებენ პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია გაიმიჯნოს და სრულყოფილად გაიწეროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გაიწეროს ასევე იმ პირთა განთავსების საკითხები, რომლებიც სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განთავსდნენ სპეციალურ დაწესებულებაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლში და მისი მეორე ნაწილი ყალიბდება ცალკე 396¹ მუხლის სახით, რომელსაც ემატება მთელი რიგი დებულებები პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხებზე. კანონპროექტით იმიჯნება წინასწარი გამოძიების დროს პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და სასამართლო განხილვისას პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევები. იმავდროულად კანონპროექტი ითვალისწინებს წინასწარი გამოძიების დროს პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებულ საკითხს. კანონპროექტის თანახმად აღნიშნულს იხილავს წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, ამასთან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. წარმოდგენილი კანონპროექტით მოწესრიგებულია სასამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე იმ პირთა დროებით განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც შეიძლება შეეფარდოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება. პროექტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღებამდე დაკავებული ან დაპატიმრებული პირი გადაყვანილ უნდა იქნეს სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ამასთან კანონპროექტის თანახმად სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის დრო ითვლება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ვადაში, ხოლო სპეციალიზირებულ სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

კანონპროექტით ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 499-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები,

რომლითაც განისაზღვრა სასამართლო განსჯადობა პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას სასამართლო განხილვის დროს.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, თუ დადგინდება, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხ მდგომარეობაში იყო, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას და ამავე დადგენილებით (განხილებით) წყვეტს საკითხს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. იმავედროულად კანონპროექტით გარკვეულწილად განისაზღვრა სასამართლო განსჯადობის საკითხი, თუ არ გასულა მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადა საკითხს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე განიხილავს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან კანონპროექტის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი